



პრეს-რელიზი

29 იანვარი, 2021 წ.

## საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მეექვსედ აღინიშნება

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით საქართველოში 3 თებერვალს, უკვე მეექვსედ, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნება!

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 31 მილიონ ადამიანამდე მონაწილეობს და ერთიანდება საერთო სლოგანის გარშემო: **იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!** ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამაღლა კითხვის სიხარული და თავადაც შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში. ასოციაცია წელს კვლავაც ისახავს მიზნად, საქართველოც ტრადიციულად შეუერთდეს ამ საერთაშორისო ინიციატივას და გახდეს მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების ნაწილი. პროექტის მეგობარია თიბისი, ხოლო საერთაშორისო ორგანიზატორია „Litworld“.

პანდემიიდან გამომდინარე წლებანდელი ღონისძიება ონლაინ რეჟიმში გაიმართება. 3 თებერვალს, 12 საათზე **წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის გახსნის ღონისძიება** გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს, მთარგმნელსა და მწერალს, **ბაჩანა ბრეგვაძეს** მიეძღვნება, რომელსაც 2021 წელს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა. ონლაინ შეხვედრაზე მის შემოქმედებაზე ისაუბრებენ **დათო ტურაშვილი, ზვიად კვარაცხელია, გიორგი კვეციანი და გვანცა ჯობავა**, რომლებიც წაიკითხავენ ფრაგმენტებს მიგელ დე სერვანტესის "დონ კიხოტის" ბაჩანა ბრეგვაძისეული თარგმანიდან.

გარდა ამისა, მთელი დღის განმავლობაში **70-მდე ქართველი მწერალი** ონლაინ შეხვედრებს გამართავს სკოლებსა და უნივერსიტეტებში მთელი საქართველოს მასშტაბით, წაიკითხავენ ლიტერატურულ ტექსტებს მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთად და კიდევ ერთხელ გაამახვილებენ ყურადღებას წიგნიერების მნიშვნელობაზე.

ღონისძიება 3 თებერვალს, 6 საათზე **ოფიციალურად დაიხურება მთარგმნელ ხათუნა ცხადაძის, ფილოსოფოს ლევან ღამბაშიძისა და პოეტ პაატა შამუგიას დისკუსიით** თემაზე - **„ადამიანი და სახელმწიფო: გამოწვევა და გამოსავალი“**. სპიკერები ტრადიციულად მიმოიხილავენ გასული წლის აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ თემებს, განიხილავენ ქვეყანაში არსებულ

ვითარებას და მომავლის პერსპექტივებს ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კონტექსტში, ისაუბრებენ ლიტერატურულ ანალოგებზე. საუბრის ბოლოს კი საჯაროდ წაიკითხავენ ლიტერატურულ ტექსტებს.

ტრადიციულად, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის დასკვნით ღონისძიებაზე უკვე მეექვსედ გამოვლინდება და დაჯილდოვდება **წლის წიგნის ქომაგი**, რომელსაც საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, **რუსუდან მოსიძე** და ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, **თინათინ ბერიაშვილი** წარადგენენ. ჯილდო ასოციაციის ინიციატივით 2016 წელს დაარსდა და მას შემდეგ ყოველწლიურად გადაეცემა იმ ადამიანებს, პროექტებსა თუ ინსტიტუციებს, რომლებიც წლის განმავლობაში განსაკუთრებულად უწყობენ ხელს საქართველოში წიგნიერების გავრცელებას. წინა წლებში აღნიშნული ჯილდო გადაეცათ: პროექტს „წიგნის თარო“ (2020), მამუკა ხაზარაძეს (2019), თემურ ჩხეიძეს (2018), ფორმულა კრეატივს (2017), ლევან ბერძენიშვილს (2016).

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის **გახსნისა და დახურვის ღონისძიებებს შეგიძლიათ შეუერთდეთ ფეისბუქ გვერდებზე:**

[წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე / World Read Aloud Day in Georgia](#)

[GPBA / საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია](#)

ფოტო თუ ვიდეომასალის გადაღებით, სოციალურ ქსელებში გაზიარებითა და ასოციაციის თუ წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის მონიშვნით თითოეულ მოქალაქეს შეუძლია ჩაერთოს და გახდეს საზეიმო ღონისძიების მონაწილე.

#WorldReadAloudDay #WRAD2021

საკონტაქტო პირი:

ნინო წურჭუმია: 555649019

*საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი*